საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36
2017 წლის 26 დეკემბერი

ქ. საგარეჯო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 სექტემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 სექტემბრის №40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 10/09/2014, 270070000.35.165.016148). დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №2

საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა)

№	საკრებულოს წევრი	ანაზღაურების ოდენობა (ლარი) საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისთვის; ანაზღაურების ზღვრული ოდენობა (ლარი) ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის; საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის
1.	საკრებულოს წევრი	397

".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ოთარ ჩალათაშვილი**